



## განსხვავება მოსამართლის სამართლებრივ შეცდომასა და დისციპლინურ გადაცდომას შორის, ამერიკული გამოცდილება

ნაშრომი მომზადებულია საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა

სადისციპლინო კოლეჯის წევრის კახა წიქარიშვილის მიერ

## შესავალი

მოსამართლის დისციპლინური პასუხისმგებლობა ჯანსაღი, დამოუკიდებელი და ანგარიშვალდებული სასამართლო სისტემის აუცილებელი კომპონენტია. მოსამართლის დისციპლინური პასუხისმგებლობა მოსამართლეთა პროფესიული ქცევის სტანდარტების დაცვას, სასამართლოს ავტორიტეტის შენარჩუნებას, სასამართლოს გამართულ ფუნქციონირებას, მოქალაქეთა ნდობის გამტკიცებას ისახავს მიზნად. თუმცა, მეორეს მხრივ, ცნობილია, რომ ამ მექანიზმის არასწორმა გამოყენებამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას სასამართლოს და მოსამართლის დამოუკიდებლობას. განსაკუთრებით ფაქიზია ზღვარი მოსამართლის სამართლებრივ შეცდომასა და დისციპლინურ გადაცდომას შორის.<sup>1</sup> ტრადიციულად ისმის შეკითხვა, შეიძლება თუ არა მოსამართლე დაისაჯოს გადაწყვეტილების მიღებისას კანონის დარღვევის გამო? ამ შეკითხვაზე დღემდე ცალსახა პასუხი დღემდე არ არსებობს და სხვადასხვა ქვეყნებს აქვთ საკუთარი მიდგომები, თუმცა იკვეთება საერთო ტენდენციებიც.

საქართველოში დისციპლინურ სამართალწარმოებას არეგულირებს 2000 წლის 23 თებერვალს მიღებული კანონი „საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“, რომლის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დისციპლინური გადაცდომის ერთ-ერთ სახედ განისაზღვრა „საქმის განხილვისას მოსამართლის მიერ კანონის უხეში დარღვევა“. ეს ფორმულირება შემდგომში რამდენჯერმე შეიცვალა, კერძოდ 2005 წლის 23 ივნისის ცვლილებით ჩამოყალიბდა როგორც: „კანონის უხეში ან/და არაერთგზის დარღვევა“, ხოლო მუხლის შენიშვნაში დაიწერა, რომ „კანონის უხეშ დარღვევად ჩაითვლება კანონმდებლობის არსებითი დარღვევა, რამაც ზიანი მიაყენა (ან შეეძლო მიეყენებინა) პროცესის მონაწილის ან მესამე პირის კანონიერ უფლებებსა და ინტერესებს. კანონის არაერთგზის დარღვევად ჩაითვლება კანონმდებლობის 3-ჯერ და მეტჯერ დარღვევა. მოსამართლის მიერ კანონის უხეში ან/და არაერთგზის დარღვევად არ ჩაითვლება კანონის არასწორი განმარტება, რომელსაც საფუძვლად უდევს მოსამართლის შინაგანი რწმენა“.<sup>2</sup>

კანონის აღნიშნული ნორმა ნეგატიურად იქნა შეფასებული ვენეციის კომისიის 2007 წლის 19 მარტის დასკვნით, რომელშიც აღნიშნა შემდეგი:

„მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში მოხსენიებული დარღვევები იმდენად ფართოდ არის ფორმულირებული, რომ მათი მოქმედების ქვეშ შეიძლება მოექცეს საქმეთა განხილვის დროს მოსამართლის მოქმედებების საკმაოდ ფართო სპექტრი. ამ მხრივ, იმის ნაცვლად რომ შეზღუდოს მოსამართლის დისციპლინური პასუხისმგებლობის ფარგლები, ის აშკარად უქმნის საფრთხეს სასამართლოს დამოუკიდებლობას. ამ პრინციპის მიზანია უზრუნველყოს ის, რომ მოსამართლეები იყვნენ თავისუფალი საქმეების განხილვის დროს კანონის საფუძველზე და არ ემჩინოდეთ რაიმე შედეგების მათი ვალდებულებების შესრულებისას გარდა მართლმსაჯულების გამრუდების შემთხვევებისა (სისხლის სამართლის საქმეებზე).“

ამ დებულებაში მოსამართლის დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველი ექსკლუზიურად მოსამართლის ქმედებაზეა კონცენტრირებული საქმის განხილვის ან ვერდიქტის ან განჩინების გამოტანის დროს. შესაბამისად, ისინი ვრცელდება თავად სამოსამართლო პროცესზე, მოსამართლის მიერ კანონის განმარტებაზე საქმის განხილვის დროს, რაც არის სამოსამართლო ფუნქციის არსი, ანუ დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღება. შესაბამისად ეს დებულება ეხება მოსამართლის დამოუკიდებელი გადაწყვეტილების დელიკატურ სფეროს, კანონისა და კონსტიტუციის შესაბამისად“.

<sup>1</sup> იხ. მაგ. Synthia Gray, Line Between Legal Error and Judicial Misconduct: Balancing Judicial Independence and Accountability.

<sup>2</sup> 2005 წლის 25 ნოემბრის ცვლილების მცირეოდენი შესწორება შევიდა მუხლის განმარტებაში „პროცესის მონაწილის ან მესამე პირის კანონიერ უფლებებსა და ინტერესებს“ ასევე დაემატა „საჯარო ინტერესები“.

ვენეციის კომისიამ თავის დასკვნაში რეკომენდაცია გაუწია რა აღნიშნული დებულების კანონიდან ამოღებას, ამის საფუძველად საბოლოოდ მიუთითა ორი მთავარი არგუმენტი: 1. ეს ნორმა არ არის საკმარისად დეტალური და 2. ის იძლევა მოსამართლის საქმიანობაში ჩარევის საშუალებას, რაც დაცული უნდა იყოს მოსამართლის დამოუკიდებლობის პრინციპით.<sup>3</sup>

ვენეციის კომისიის აღნიშნულ დასკვნასთან კანონმდებლობის შესაბამისობის მიზნით, 2007 წლის 11 ივლისის ცვლილებებით უფრო დაზუსტდა „კანონის უხეში დარღვევის“ დეფინიცია, ხოლო 2012 წლის 27 მარტის ცვლილებით აღნიშნული ნორმა ამოღებულ იქნა კანონიდან.

ქართული დისციპლინური კანონმდებლობის ვენეციის კომისიის აღნიშნულ დასკვნასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, 2007 წლის 11 ივლისის განხორციელდა ცვლილებები, რითაც უფრო დაზუსტდა „კანონის უხეში დარღვევის“ დეფინიცია, ხოლო 2012 წლის 27 მარტის ცვლილებით - აღნიშნული ნორმა ამოღებულ იქნა კანონიდან.

მიუხედავად იმისა, რომ „კანონის უხეში დარღვევა“, როგორც დისციპლინური გადაცდომის სახე, ამოღებულ იქნა კანონიდან, არასწორი გადაწყვეტილებისთვის მოსამართლის პასუხისმგებლობის საკითხი მაინც რჩება დღის წესრიგში, ვინაიდან „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ კანონში არსებობს მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი - მოსამართლის მოვალეობის შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება, რაც სადისციპლინო კოლეგიის დღემდე არსებული პრაქტიკით შესაძლებელია არაჯეროვან შესრულებად დაკვალიფიცირდეს ის შემთხვევები, რაც რასაც 2012 წლამდე მოიცავდა „კანონის უხეში დარღვევა“.<sup>4</sup>

მიუხედავად იმისა, რომ „კანონის უხეში დარღვევა“, როგორც დისციპლინური გადაცდომის სახე, ამოღებულ იქნა კანონიდან, არასწორი გადაწყვეტილებისთვის მოსამართლის პასუხისმგებლობის საკითხი მაინც რჩება დღის წესრიგში. „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ კანონში არსებობს მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი - „მოსამართლის მოვალეობის შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება“. როგორც სადისციპლინო კოლეგიის არსებული პრაქტიკა გვიჩვენებს, იმ დარღვევებს, რომლებიც 2012 წლამდე კვალიფიცირდებოდა „კანონის უხეში დარღვევად“ დღეს შესაძლებელია მიეცეს „მოსამართლის მოვალეობების არაჯეროვნად შესრულების კვალიფიკაცია“.

ყოველივე ამის ფონზე, ჩვენთვის მნიშვნელოვანი და საინტერესოა მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების, განსაკუთრებით ამერიკის შეერთებული შტატების გამოცდილება. კერძოდ, როგორ ავლენენ ისინი ზღვარს მოსამართლის მიერ გადაწყვეტილების მიღების თავისუფლებასა და დისციპლინურ გადაცდომას შორის.

<sup>3</sup> იხ. ვენეციის კომისიის დასკვნა „საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ კანონის თაობაზე“ 2007 წლის 19 მარტი, პარ. 22.

<sup>4</sup> იხ. საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის 2007-2013 წლების პრაქტიკის განზოგადება კოლეგიის ვებგვერდზე. ამ კუთხით, მნიშვნელოვან ნოვაციას წარმოადგენს კოლეგიის 2013 წლის 12 აპრილის გადაწყვეტილება, რომელშიც აღნიშნა, რომ დისციპლინურ გადაცდომასა და სამართლებრივ შეცდომას შორის ზღვარის გავლებისას გათვალისწინებულ უნდა იქნას შეცდომის გამოსწორების შესაძლებლობა, მისი ხარისხი, განმეორებითი და არაერთგზისი ხასიათი, მოსამართლის კეთილსინდისიერება, მისი მოტივი.

## ამერიკული გამოცდილება

საქართველოსგან განსხვავებით, ამერიკის შეერთებულ შტატებში მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ მარეგულირებელი ერთიანი კანონმდებლობა არ არსებობს. ფედერალური მოწყობიდან გამომდინარე, დისციპლინურ საქმეთა განმხილველი ორგანოები და შესაბამისი პროცედურები გაწერილია თითოეული შტატის კონსტიტუციით, ან სპეციალური კანონით, ან სასამართლოს ან მოსამართლეთა კონფერენციის მიერ მიღებული წესებით. დისციპლინური პასუხისმგებლობის გავრცელებული საფუძველია განზრახი გადაცდომა ჩადენილი სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას; ქმედება, რომელსაც ზიანი მოაქვს მართლმსაჯულების განხორციელებისთვის და ბღალავს სასამართლოს ავტორიტეტს, სამოსამართლო უფლებამოსილების ჯიუტად შეუსრულებლობა, ალკოჰოლზე დამოკიდებულება, დანაშაულის ჩადენა და სხვ.<sup>5</sup> მოსამართლეთა დისციპლინურ გადაცდომას, როგორც წესი, იხილავს სპეციალური კომისია, რომელიც შედგება მოსამართლეების, ადვოკატების და საზოგადოების წარმომადგენლებისგან, ხოლო კომისიის გადაწყვეტილება საჩივრდება სასამართლოში.<sup>6</sup>

ამერიკის შეერთებულ შტატებში უკვე ათწლეულებია მიმდინარეობს დისკუსია იმ საკითხზე, უნდა დაისაჯოს თუ არა მოსამართლე კანონის დარღვევისათვის (სამართლებრივი შეცდომისთვის - legal error) დისციპლინური წესით, დასჯადობის მოწინააღმდეგენი არგუმენტებად ასახელებენ იმას: რომ მოსამართლის მიერ კანონის დარღვევის დროს დაცვის მექანიზმს წარმოადგენს პროცესის შეჯიბრებითობა და სააპელაციო კონტროლი - ზემდგომი სასამართლო ინსტანციები არსებობენ იმისთვის, რათა გაასწორონ ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს შეცდომები;<sup>7</sup> რომ კანონის განმარტება და გამოყენება მოსამართლის და არა სადისციპლინო ორგანოების კომპეტენციაა;<sup>8</sup> რომ მოსამართლის ყველა სამართლებრივი შეცდომა დისციპლინური პასუხისმგებლობით რომ მთავრდებოდეს, ეს ძირს გამოუთხრიდა სასამართლოს დამოუკიდებლობას;<sup>9</sup> რომ მოსამართლემ ყოველი გადაწყვეტილების მიღების დროს თავის თავს უნდა ჰკითხოს, თუ რა არის კანონის გამოყენების ყველაზე საუკეთესო ვარიანტი და რა არ გამოიწვევს მის დისციპლინურ პასუხისმგებლობას.<sup>10</sup>

დასჯადობის მომხრეები არგუმენტებად ასახელებენ იმას, რომ: მოსამართლეს ეთიკის კოდექსით ევალება კანონის დაცვა; მოსამართლის სამართლებრივი შეცდომა მხარეებს დიდ ტვირთსა და ხარჯებს აკისრებს; მოსამართლის სამართლებრივი შეცდომა ყოველთვის არ სწორდება გასაჩივრების გზით;

---

<sup>5</sup> Synthia Gray, how judicial conduct commissions work, Justice System Journal, Vol. 28, N. 7. p. 406 მაგ. მიჩიგანის კონსტიტუციის 30-ე მუხლის მე-2 ნაწილით, „მოსამართლეთა მანდატის კომისიის რეკომენდაციით უზენაეს სასამართლოს შეუძლია საყვედური მისცეს, უხელფასოდ შეუჩეროს, პენსიაში გაამწყოს ან გაათავისუფლოს მოსამართლე დანაშაულისთვის მსჯავრდებისთვის, ფიზიკური ან მენტალური უუნარობისთვის, სამსახურებრივი გადაცდომისთვის, მოვალეობების ჯიუტად შეუსრულებლობისთვის, ალკოჰოლზე დამოკიდებულების ან მართლმსაჯულებისთვის აშკარა დამაზიანებელი ქმედების განხორციელებისთვის.

<sup>6</sup> Synthia Gray, how judicial conduct commissions work, Justice System Journal, Vol. 28, N. 7. p. 417

<sup>7</sup> Jeffrey Shaman, Steven Lubet, James Alfini, Judicial Conduct and Ethics, p. 2-4.

<sup>8</sup> Synthia Gray, დასახ. ნაშრომი, გვ. 1247

<sup>9</sup> Synthia Gray, დასახ. ნაშრომი, გვ. 1247

<sup>10</sup> Synthia Gray, დასახ. ნაშრომი, გვ. 1247. „მოსამართლეებს უნდა შეეძლოთ საქმე გადაწყვიტონ იმ კანონის შესაბამისად, რომელიც მათი თვალსაზრისით გამოიყენება ამ საქმეზე, სასჯელის ან ჯილდოს მოლოდინის გარეშე. ეს არის სასამართლო დამოუკიდებლობის ცენტრალური პრინციპი. ეს პრინციპი საფრთხის ქვეშ დგება, როდესაც მოსამართლეები დგებიან არჩევანის წინაშე როგორ გადაწყვიტონ ესა თუ ის საქმე და ისინი ასეთ არჩევანს აკეთებენ ყოველდღე. მათ თავის თავს უნდა ჰკითხონ ის „თუ რა არის საუკეთესო არჩევანი კანონის მიხედვით, როგორც მე ეს მესმის“ და არა ის, თუ რომელი არჩევანი გამოიწვევს ყველაზე ნაკლებად დისციპლინურ პასუხისმგებლობას“. იხ. <https://www.courtlistener.com/alaska/euut/in-re-curda/>

მოსამართლის უხეში სამართლებრივი შეცდომა მეტყველებს მის არაკომპეტენტურობაზე;<sup>11</sup> მოსამართლის ქმედებაში არაკეთილსინდისიერება ადვილი დასამტკიცებელი არ არის.<sup>12</sup>

ამერიკულ სამართლებრივ ლიტერატურაში და სასამართლო პრაქტიკაში დღეისთვის მყარად არის ფეხმოკიდებული აზრი, რომ მოსამართლე მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა დაისაჯოს სამართლებრივი შეცდომისთვის, თუ მას თან ახლავს სხვა დამატებითი გარემოებები (“legal error plus”):<sup>13</sup>

**1. მკაფიო და ჩამოყალიბებული ნორმის დარღვევა.** პირველ რიგში, მოსამართლე უნდა მოქმედებდეს მკაფიო და ცალსახად განმარტებული სამართლის ნორმის წინააღმდეგ. მოსამართლის მიერ კანონის დარღვევა მხოლოდ მაშინ იქნება გადაცდომა, თუ „გონივრულად ფრთხილი და კომპეტენტური მოსამართლე . . . (მას) ჩათვლის აშკარად და სერიოზულად არასწორად ყველა სიტუაციაში”.<sup>14</sup> ამ მოტივით, ილინოისის უზენაესმა სასამართლომ პასუხისმგებლობისგან გაათავისუფლა მოსამართლე, რომელმაც მამრობითი სქესის მსჯავრდებულებს სასჯელის ნაწილის სახით დაავალა თმის შეჭრა, ხოლო პირობით მსჯავრდებულებს დაავალა ეტარებინათ წარწერა, რომელიც აღნიშნავდა, რომ ისინი იყვნენ პირობით მსჯავრდებულები. სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსამართლის მოქმედების დროისთვის არც ერთ სააპელაციო სასამართლოს არ ჰქონდა განმარტებული კანონით გათვალისწინებული ტერმინი „სხვა დამატებითი პირობები”.<sup>15</sup> იგივე სტანდარტის გამოყენებით ლუიზიანას უზენაესმა სასამართლომ პასუხისმგებლობისგან გაათავისუფლა მოსამართლე, რომელმაც 1200-ზე მეტ პრობაციონერს მიუსაჯა კვირაში ერთხელ ეკლესიაში წირვაზე დასწრება. სასამართლომ უარყო რა კომისიის მტკიცება, რომ ასეთი სასჯელი აშკარად არაკონსტიტუციური იყო, აღნიშნა, რომ არსებობდნენ სასამართლო გადაწყვეტილებები სხვა შტატებში, რომლებიც კანონის ამდაგვარი განმარტების საშუალებას იძლეოდნენ. შესაბამისად, განაჩენების გამოტანის დროს მოსამართლე არ იმყოფებოდა აშკარა კონფლიქტში მოქმედ კანონთან.<sup>16</sup>

**2. იმ შემთხვევაშიც, კი როდესაც მოსამართლე მოქმედებს მკაფიო და ჩამოყალიბებული სამართლის ნორმის წინააღმდეგ, ის დისციპლინური წესით პასუხს აგებს მხოლოდ მაშინ, თუ ამ დარღვევას თან ახლავს ერთ-ერთი შემდგომი წინაპირობა:**

**ა) ქმედება ჩადენილია არაკეთილსინდისიერად (Bad Faith).** რას ნიშნავს არაკეთილსინდისიერება? კალიფორნიის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით საქმეზე Cannon v. Comm’n on Judicial Qualifications (1975), მოსამართლის არაკეთილსინდისიერია ქმედება „რომელიც ჩადენილია სამოსამართლო უფლებამოსილების ფარგლებში, თუმცა კორუფციული მიზნით, ანუ სამოსამართლო ფუნქციის კეთილსინდისიერი შესრულების გარდა ნებისმიერი სხვა მიზნით”.<sup>17</sup> ამ კრიტერიუმის გამოყენებით ერთ საქმეში გამართლდა მოსამართლე, რომელმაც დააპატიმრა მთვრალი მოწმე მეორე დღეს მისი სასამართლოში გამოცხადების უზრუნველყოფის მიზნით. სასამართლომ, შესაბამისი

<sup>11</sup> იხ. მაგ. Gerald Stern, Judicial Error, That is Subject to Discipline in NY, 32 Hofstra L. Rev. 1547 2003-2004

<sup>12</sup> Gerald Stern, დასახ. ნაშრომი, გვ. 1562

<sup>13</sup> კალიფორნიის სამოსამართლო ქცევის კომისიის წესი 111.4 ადგენს შემდეგს: დისციპლინური სანქცია, მათ შორის სარეკომენდაციო ბარათი არ დაეკისრება მოსამართლეს უბრალო სამართლებრივი შეცდომისათვის. თუმცა, თუ მოსამართლე ჩაიდენს სამართლებრივ შეცდომას, რომელიც აშკარად და დამაჯერებლად ასახავს არაკეთილსინდისიერებას, გადახრას, ძალაუფლების ბოროტად გამოყენებას, ადამიანის ფუნდამენტალური უფლებების უგულვებელყოფას, კანონის განზრახ დარღვევას ან რაიმე სხვა მიზანს გარდა სამოსამართლო ფუნქციის კეთილსინდისიერი განხორციელებისა დაექვემდებარება გამოძიებას და დისციპლინურ დევნას. იხ. [http://cjp.ca.gov/res/docs/appendix/CJP\\_Rules.pdf](http://cjp.ca.gov/res/docs/appendix/CJP_Rules.pdf)

<sup>14</sup> იხ. გადაწყვეტილება საქმეზე John V. Benoit 487 A.2d 1158 (1985)

<sup>15</sup> Harrod v. Ill. Courts Comm’n, 372 N.E.2d 53, 66 (Ill. 1977). ციტირებულია სტატიიდან: Synthia Gray, დასახ. ნაშრომი, გვ. 1262

<sup>16</sup> იხ. In Re Quirk, 705 So.2d 172 (1997) [http://www.leagle.com/decision/1997877705So2d172\\_1875](http://www.leagle.com/decision/1997877705So2d172_1875)

<sup>17</sup> Synthia Gray, დასახ. ნაშრომი, გვ. 1265

კანონმდებლობის ბუნდოვანებასთან ერთად ჩათვალა, რომ მოსამართლე მოქმედებდა კეთილსინდისიერი მოტივით.<sup>18</sup>

საქმეზე State Commission on Judicial Conduct v. Gist, კომისიამ დისციპლინური გადაცდომის ჩადენაში ბრალეულად ცნო მოსამართლე, რომელიც ძველი რიცხვით ათარიღებდა საქმის არსებით განხილვის გარეშე დამდგარ განაჩენებს, იმის აღსანიშნავად, თითქოს მსჯავრდებულს უკვე მოხდილი ჰქონდა სასჯელი ან მისი ნაწილი. მოსამართლემ განმარტა, რომ ეს იყო სასამართლო სხდომაზე შემდგარი საპროცესო შეთანხმების ნაწილი. კომისიამ ის ბრალეულად ცნო დისციპლინური გადაცდომის ჩადენაში, მაგრამ სააპელაციო სასამართლომ მოსამართლე გაამართლა იმ მოტივით, რომ მიუხედავად იმისა, რომ მოსამართლის ქმედებები არღვევდა კანონს, ის ჩადენილი იყო კეთილსინდისიერად.<sup>19</sup>

სამაგიეროდ, დისციპლინური სახდელი დაეკისრა მოსამართლეს, რომელმაც უჩვეულოდ მკაცრი სასჯელი შეუფარდა მსჯავრდებულს, რომელმაც უარი თქვა საპროცესო შეთანხმებაზე,<sup>20</sup> ან მოითხოვა ნაფიც მსაჯულთა სასამართლო,<sup>21</sup> ან ბრალდებულს საერთოდ არ შეუფარდა პირადი თავდებობა იმის გამო, რომ მოსამართლე „საწოლიდან წამოაგდეს“ სხდომის ჩასატარებლად.<sup>22</sup>

საქმეზე In Re King მასაჩუსეტსის კომისიამ დისციპლინურ გადაცდომაში ბრალეულად ცნო მოსამართლე, რომელმაც არაგონივრულად მაღალი გირაოს თანხა შეუფარდა ოთხ შავკანიან ბრალდებულს მას შემდეგ, რაც შეიტყო, რომ გუბერნატორის არჩევნებში შავკანიან ამომრჩევლებმა ხმა მიცეს მისი ძმის წინააღმდეგ. მოსამართლემ განუცხადა კლერკს, რომ „ეს არის ის, რასაც შავკანიანები მიიღებენ ჩემი ძმის წინააღმდეგ ხმის მიცემისთვის“.<sup>23</sup>

პრაქტიკაში აღიარებულია, რომ სასამართლო გადაწყვეტილების დასაბუთება თავისთავად არ იწვევს მოსამართლის დისციპლინურ პასუხისმგებლობას, მაგრამ თუ ეს გადაწყვეტილება მოტივირებულია კანონით გაუთვალისწინებელი საფუძვლებით, ის შეიძლება გახდეს დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი. მაგ. საქმეზე Gaeta, N.J. Sup. Ct. May 7, 2003 მოსამართლემ პირობითი სასჯელი შეუფარდა მასწავლებელ ქალს, რომელსაც სექსუალურ კავშირი ჰქონდა 13 წლის მოწავლესთან. მოსამართლემ სასჯელი გაამართლა იმით, რომ შესაძლებელია ეს იყო დაზარალებულისთვის სექსუალური სურვილების დაკმაყოფილების საშუალება. კომისიამ აღნიშნა, რომ მოსამართლე არა უბრალოდ შეცდა გამოსაყენებელ კანონთან დაკავშირებით, არამედ მას ჰქონდა წინასწარ ჩამოყალიბებული მოსაზრება არასრულწლოვნის სექსუალობასთან დაკავშირებით, რომელიც ხელს უშლიდა კანონის სწორ გამოყენებაში. კომისიამ ჩათვალა, რომ „მოსამართლის კომენტარი, ისე როგორც შეიძლება იყოს ყოფილიყო აღქმული, ქმნიდა მიკერძოების შთაბეჭდილებას. ამ კომენტარის გონივრული ინტერპრეტაცია, საზოგადოებრივი აღქმა და ზოგადი გაგება მიუთითებდა მოსამართლის გადახრაზე და მიუკერძოებლობის ნაკლებობაზე“.<sup>24</sup>

საქმეზე Tracy, მოსამართლემ საჯაროდ განაცხადა, რომ ის მაქსიმალურ სასჯელს შეუფარდებდა ნასვამ მძღოლებს, რაც მან აღასრულა კიდევ თავის შემდგომ გადაწყვეტილებებში. ნიუ იორკის კომისიამ ცნო რა ის ბრალეულად დისციპლინურ გადაცდომაში, მიუთითა, რომ „სასამართლო დისკრეცია, რომელიც არის მოსამართლის უფლებამოსილების არსი, უქმდება, როდესაც მოსამართლე თავის თავს დაუწესებს პოლიტიკას, რომელიც მომავალში უკარნახებს მას გადაწყვეტილებებს. ამ დისკრეციის განხორციელებისას, მოსამართლეს შეუძლია დააკისროს ნებისმიერ სასჯელი, რასაც კანონი უშვებს, მაგრამ მხოლოდ თითოეული საქმის ფაქტების გათვალისწინებით და თითოეული ბრალდებულის

<sup>18</sup> იხ. Synthia Gray, დასახ. ნაშრომი, გვ. 1260

<sup>19</sup> იხ. Alfini დასახ. ნაშრომი, გვ. 2-14

<sup>20</sup> See Ryan v. Comm'n on Judicial Performance, 754 P.2d 724 (Cal. 1988), Synthia Gray, დასახ. ნაშრომი, გვ. 1266,

<sup>21</sup> See In re Cox, 680 N.E.2d 528 (Ind. 1997) Synthia Gray, დასახ. ნაშრომი, გვ. 1266

<sup>22</sup> იხ. at <http://www.scjc.state.ny.us/determinations/m/mckevitt1.htm>

<sup>23</sup> 568 N.E.2d 588 (Mass. 1991). ციტირებულია სტატიიდან Synthia Gray, დასახ. ნაშრომი, გვ.1266

<sup>24</sup> იხ. <http://www.judiciary.state.nj.us/pressrel/gaeta.pdf>, აგრეთვე, Synthia Gray, დასახ. ნაშრომი, გვ. 1255

მოსმენის შემდეგ . . . საზოგადოების ნდობა სასამართლოს მიმართ მცირდება ასეთი განცხადებების გამო”.<sup>25</sup>

მოსამართლის მიერ დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებაზე უარის თქმა. ასევე ხშირად აღიქმება დისციპლინურ გადაცდომად. მაგ. საქმეზე *In re Brown*, მოსამართლემ მონეტა ააგდო იმის გასაგებად, თუ ვისთან უნდა გაეტარებინა ბავშვს საშობაო ღამე,<sup>26</sup> ხოლო საქმეზე *In Re Best*, მოსამართლემ ჩაატარა დარბაზის გამოკითხვა ბრალდებულის უდანაშაულობის თუ დამნაშავეობის საკითხის გადასაწყვეტად. მართალია მოსამართლემ შემდგომში თავი იმართლა იმით, რომ მისი ვერდიქტი ემყარებოდა საქმეში არსებულ მტკიცებულებებს და არა საზოგადოების აზრს, მაგრამ ლუიზიანის უზენაესმა სასამართლომ ჩათვალა, რომ მოსამართლემ შექმნა იმის შთაბეჭდილება, თითქოს ვერდიქტი ემყარებოდა სხდომაზე განხილული მტკიცებულებების გარდა სხვა გარემოებებს, „ასეთი სახის ქცევა კი ამსხვრევს სასამართლოს სანდოობას და საზოგადოების რწმენას მართლმსაჯულების ადმინისტრირების მიმართ“.<sup>27</sup>

მოსამართლის მიერ განზრახ კანონის დარღვევა, თუნდაც ის არ იყოს ჩადენილი არაკეთილსინდისიერი მოტივით, ასევე ქმნის დისციპლინურ გადაცდომას. მაგ. საქმეზე *In re LaBelle* მოსამართლემ 24 საქმეზე განზრახ არ შეუფარდა გირაო ბრალდებულებს, მიუხედავად კანონის მკაფიო მოთხოვნისა, ხოლო საქმეზე *In re Duckman* სასამართლომ საქმეები ისე შეწყვიტა, რომ პროკურატურას არ მისცა არგუმენტების წარმოდგენის საშუალება. ორივე შემთხვევაში მოსამართლის ქმედება ჩაითვალა გადაცდომად.<sup>28</sup>

მეორეს მხრივ, თუ მოსამართლე არ ეთანხმება დამკვიდრებულ სასამართლო პრაქტიკას და ასაბუთებს განსხვავებულ მოსაზრებას, მისი დასჯა დაუშვებელია.<sup>29</sup>

**ბ) მოსამართლის ქმედება არღვევს პირის კონსტიტუციურ უფლებას.** ზოგი სასამართლო თვლის, რომ როცა მოსამართლის ქმედება არის სერიოზული ხასიათის, ანუ ის არღვევს პირის კონსტიტუციურ უფლებას ერთი ასეთი დარღვევაც კი საკმარისია მოსამართლისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დასაკისრებლად.<sup>30</sup> მაგ. ასეთი დარღვევებად ჩაითვალა: პირის დამნაშავედ ცნობა საქმის არსებითი განხილვის ან ბრალის აღიარების გარეშე;<sup>31</sup> სახაზინო დამცველის დანიშვნაზე უარის თქმა, კანონით დადგენილი საფუძვლის მიუხედავად<sup>32</sup>. საპროცესო შეთანხმების დამტკიცება ადვოკატის გარეშე;<sup>33</sup> ბრალდებულის დამნაშავედ ცნობა იმ ეპიზოდში, რისთვისაც მისთვის ბრალი არ წარუდგენიათ;<sup>34</sup> დარბაზში ბრალდებულის პატიმრობაში აყვანა იმის გამო, რომ მისმა ადვოკატმა პროცესზე დაიგვიანა;<sup>35</sup> არასრულწლოვნის დაპატიმრება 6 თვით ადვოკატის გარეშე; სამოქალაქო დავაზე გადაწყვეტილების მიღება მოპასუხე მხარის მოწვევის გარეშე;<sup>36</sup> პროკურორის დაკავება

<sup>25</sup> იხ. <http://www.scjc.state.ny.us/determinations/t/Tracy.Edward.J.2001.11.19.pdf>, ასევე Synthia Gray, დასახ. ნაშრომი, გვ. 1258

<sup>26</sup> იხ. [http://www.leagle.com/decision/20031395662NW2d733\\_11364](http://www.leagle.com/decision/20031395662NW2d733_11364), აგრეთვე Synthia Gray, დასახ. ნაშრომი, გვ. 1257

<sup>27</sup> იხ. <http://www.lasc.org/opinions/98O0122.opn.PDF>, აგრეთვე Synthia Gray, დასახ. ნაშრომი, გვ.1257

<sup>28</sup> იხ. <http://caselaw.findlaw.com/ny-court-of-appeals/1381299.html>, აგრეთვე Synthia Gray, დასახ. ნაშრომი, გვ. 1257

<sup>29</sup> იხ. [http://cjp.ca.gov/res/docs/Dismissals/Kline\\_8-19-99.pdf](http://cjp.ca.gov/res/docs/Dismissals/Kline_8-19-99.pdf), აგრეთვე, Alfini დასახ. ნაშრომი, გვ 2-10

<sup>30</sup> იხ. Quirk, 705 So. 2d at 178. აგრეთვე, Synthia Gray გვ. 1270

<sup>31</sup> იხ. Synthia Gray, დასახ. ნაშრომი, გვ. 171

<sup>32</sup> იხ. მაგ. David Rothman, California Judicial Conduct Handbook, Third Edition, p. 118

<sup>33</sup> იხ. Synthia Gray, დასახ. ნაშრომი, გვ. 171

<sup>34</sup> იქვე

<sup>35</sup> იქვე

<sup>36</sup> იქვე

სასამართლოს უპატივცემულობისთვის, იმის გამო, რომ ბრალდების მოწმე არ გამოცხადდა სხდომაზე;<sup>37</sup> სარჩელის მიღებაზე უარის თქმა იმ რწმენით, რომ მოსამართლეს შეუძლია თავად შეარჩიოს განსახილველი საქმეები;<sup>38</sup> პირველი ინსტანციის მოსამართლის მიერ საკითხის განხილვა, რაც მისი წინასწარი შეცნობით სააპელაციო სასამართლოს განსჯადობას ექვემდებარება;<sup>39</sup> მსჯავრდებულისთვის სასჯელის სახით ჯარიმის დაკისრება, მაშინ როცა კანონი ასეთ ქმედებაზე ჯარიმას არ ითვალისწინებს.<sup>40</sup>

**გ) დარღვევის სისტემატურობა.** თუ დარღვევა სისტემატურია (განმეორებითია), შესაძლებელია „ჩვეულებრივი სამართლებრივი შეცდომაც“ ჩაითვალოს გადაცდომად (თუმცა არსად არ არის განმარტებული თუ რამდენი გადაცდომა ითვლება სისტემატურად<sup>41</sup>), მაგ. გადაცდომად ჩაითვალა ისეთი სისტემატური დარღვევები, როგორცაა მოსამართლის მიერ ბრალდებულისთვის უფლებების განუმარტაობა და სახაზინო დამცველის არ დანიშვნა კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში;<sup>42</sup> საპროცესო შეთანხმების დამტკიცება ბრალდებულისგან კანონით დადგენილი წერილობითი თანხმობის მიღების გარეშე;<sup>43</sup> სხდომის ჩატარება და ბრალდებულის მიერ ბრალის აღიარების დამტკიცება პროკურორის დასწრების გარეშე.<sup>44</sup>

თუ სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით იწვევს მძიმე შედეგებს ერთი გადაცდომაც საკმარისია. მაგ. 1983 წელს ნიუ იორკის კომისიამ საჯარო საყვედური გამოუცხადა მოსამართლეს, რომელმაც სასამართლოს უპატივცემულობის გამო დააპატიმრა პროკურორი, ვინაიდან მან (პროკურორმა), სასამართლოს მოთხოვნის მიუხედავად, ვერ წარმოადგინა ბრალდების მოწმე.<sup>45</sup>

საქმეში *In re Fuselier* ლუიზიანას უზენაესმა სასამართლომ ჩათვალა, რომ განმეორებითობა შეიძლება დადგინდეს, თუნდაც საქმე ეხებოდეს რამდენიმე სხვადასხვა ტიპის სასამართლო შეცდომას.<sup>46</sup>

**დ) დარღვევის გამოსწორებადობა გასაჩივრების გზით.** საბოლოო კრიტერიუმი არის ის, თუ რამდენად არის დარღვევა გამოსწორებადი გასაჩივრების გზით. ამ კრიტერიუმთან დაკავშირებით დოქტრინაში და სასამართლო პრაქტიკაში ერთიანი მიდგომა არ არსებობს. მაგ. საქმეზე *In Re Brown* ტეხასის უზენაესმა სასამართლომ ჩათვალა, რომ მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოს უპატივცემულობისთვის სანქციის გამოყენებისას მოსამართლემ დაარღვია კანონი, დისციპლინური სანქციის გამოყენება არ იქნებოდა

<sup>37</sup> *In re Sharpe*, N.Y. COMM'N ANN. REP. 134 (1984), ციტირებულია სტატიიდან, Gerald Stern, დასახ. ნაშრომი, გვ. 1558

<sup>38</sup> *In re Loper*, N.Y. COMM'N ANN. REP. 172 (1985), ციტირებულია სტატიიდან, Gerald Stern, დასახ. ნაშრომი, გვ. გვ. 1558

<sup>39</sup> იხ. მაგ. *Kloepfer v. Commission on Judicial Performance* (1989) <http://law.justia.com/cases/california/cal3d/49/826.html> თუმცა თუ მსგავსი ქმედება მოსამართლემ გაუფრთხილებლობით ჩაიდინა, შეიძლება ის გათავისუფლდეს პასუხისმგებლობისგან: იხ. *Ohio State Bar Association v. Shutuck* <http://statecasefiles.justia.com/documents/ohio/supreme-court-of-ohio/1999-ohio-271.pdf?ts=1323906033>

<sup>40</sup> *Public Admonition and Order of Education of Driver* (Texas Commission on Judicial Conduct, Dec, 17 1999), ციტირებულია წიგნიდან *Alfini*, დასახ. ნაშრომი, გვ. 28

<sup>41</sup> იხ. *Synthia Gray*, დასახ. ნაშრომი, გვ. 1265

<sup>42</sup> N.Y. State Comm'n on Judicial Conduct Nov. 19, 2001) – <http://www.scjc.state.ny.us/Determinations/S/Shannon.Alexander.A.2001.11.19.DET.pdf>; საქმეში *Heene*, მოსამართლემ ისე შეცვალა სამი პირის პირობითი მსჯავრი, რომ მათ არ აცნობა რომ ჰქონდათ კონსტიტუციური უფლება ადვოკატზე, საქმის განხილვაზე, მოწმეების დაკითხვაზე, იხ. [https://cms.portal.ca.gov/cjp/res/docs/Censures/Heene\\_10-13-99.pdf](https://cms.portal.ca.gov/cjp/res/docs/Censures/Heene_10-13-99.pdf)

<sup>43</sup> იხ. მაგ. <http://www.cjc.state.wa.us/Case%20Material/2001/2705%20Stipulation.pdf>

<sup>44</sup> *In Re Fuselier* 837 So. 2d 1257 (La. 2003). ციტირებულია სტატიიდან *Synthia Gray*, დასახ. ნაშრომი, გვ. 1265

<sup>45</sup> იხ. *See In re Sharpe*, N.Y. COMM'N ANN. REP. 134 (1984). Gerald Stern, დასახ. ნაშრომი, გვ. 1558

<sup>46</sup> იქვე



მიზანშეწონილი, ვინაიდან მოსამართლის ქმედება შეიძლება გასწორდეს გასაჩივრების გზით.<sup>47</sup> ამის საპირისპიროდ, ილინოისის უზენაესმა სასამართლომ ჩათვალა, რომ მოსამართლის ქმედება შეიძლება ჩაითვალოს გადაცდომად, იმის მიუხედავად სწორდება თუ არა გასაჩივრებით, ვინაიდან „კონკრეტული ბრალდებულის უფლებების აღდგენა საზოგადოებას არ იცავს მოსამართლისგან, რომელიც განმეორებით და ბოროტად იყენებს უფლებამოსილებებს.“<sup>48</sup> მსგავს აზრთა სხვადასხვაობას ადგილი აქვს დოქტრინაშიც. ზოგიერთი ავტორი ფიქრობს, რომ სასამართლოს დამოუკიდებლობისადმი საფრთხის გამო უარი უნდა ითქვას ყოველგვარი ქმედების დასჯადობაზე, რომელიც სწორდება გასაჩივრების გზით.<sup>49</sup>

საქმეზე In Re King, სადაც მოსამართლემ არაგონივრულად მაღალი გირაოს თანხა დააკისრა ოთხ შავკანიან ბრალდებულს, იმ მოტივით, რომ შავკანიანმა ამომრჩეველებმა გუბერნატორის არჩევნებში ხმა მისცეს მისი ძმის წინააღმდეგ, მოსამართლემ თავი იმართლა იმით, რომ მისი ქმედება გამოსწორებადი იყო გასაჩივრების გზით. კომისიამ ამ არგუმენტს უპასუხა შემდეგნაირად:

„ამ შემთხვევაში, მოსამართლის არგუმენტის გაზიარება მიგვიყვანს იმ დასკვნამდე, რომ მოსამართლეს შეუძლია მიიღოს აშკარად რასისტული და რევანშისტული მოტივებით გაჯერებული გადაწყვეტილება და თუ ეს სისტემატურ ხასიათს არ მიიღებს, არც კომისია და არც სასამართლო არ იქნება უფლებამოსილი მოთხოვოს მოსამართლეს პასუხი ამ ქმედებაზე. ჩვენ ვერ დავეთანხმებით ამგვარ დასკვნას. შესაძლებელია ამ საქმეებზე ბრალდებულს ჰქონდეს მყარი საფუძველი, რომ გაასაჩივროს მოსამართლის გადაწყვეტილება გირაოს თანხასთან დაკავშირებით, მაგრამ ეს არ გულისხმობს იმას, რომ ადგილი არ ჰქონდა მოსამართლის მიერ გადაცდომის ჩადენას გირაოს თანხის განსაზღვრისას“.<sup>50</sup>

## დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ამერიკული სამართლის მიხედვით მოსამართლის სამართლებრივი შეცდომა, მხოლოდ მაშინ ჩაითვლება დისციპლინურ გადაცდომად, თუ საქმე ეხება მკაფიოდ ჩამოყალიბებული ნორმის დარღვევას, რომელიც დავას არ იწვევს და ამავედროულად ეს არის: ა) არაკეთილსინდისიერი ან ბ) სერიოზული ან გ) სისტემატური ან დ) გამოუსწორებადი.

<sup>47</sup> 512 S.W. 2d. 314, 322 (Tex), Alfini დასახ. ნაშრომი გვ. 2-2

<sup>48</sup> People Ex. Re. Harrod v. Illinois Courts of Comm’n, 372 N. E. 2d 53, 65 (III, 1977) ციტირებულია წიგნიდან Alfini, გვ. 2-2

<sup>49</sup> იხ. Alfini, დასახ. ნაშრომი, გვ. 2-5

<sup>50</sup> იხ. 568 N.E.2d 588 (Mass. 1991) Alfini დასახ. ნაშრომი, გვ. 2-5